

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/42

ქ. ბათუმი

04 აპრილი, 2019 წ.

ბსუ-ს 2019 წლის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N 02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ბიუჯეტის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის N01-11/51 ბრძანების, „2019 წლისათვის ბსუ-ს სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 27 ნოემბრის N01-08/171 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 22 იანვრის N01-02/06 ბრძანებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მერაბ დიასამიძის 2019 წლის 30 იანვრის მოხსენებითი ბარათის N96345 საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. 2019 წლის იანვარში ჩატარებული კონკურსის შედეგად დაფინანსდეს „ბსუ-ს სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილი პროექტები:
  - ა) 3 (სამი) საგანმანათლებლო პროექტი (დანართი N1, დანართი N2 და დანართი N3);
  - ბ) 2 (ორი) სამეცნიერო პროექტი (დანართი N4, დანართი N5).
2. წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად განხორციელდეს პროექტების ბიუჯეტებით გათვალისწინებული აქტივობები (პერსონალის მოწვევა, სამსახურებრივი აქტების წარმოდგენა, მატერიალური რესურსის გამოყენება, შექმნა და სხვა).
3. ამ ბრძანებით დამტკიცებული პროექტების ბიუჯეტის და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად რესურსების განკარგვის კოორდინაცია დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (თამარ სირაძე).
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს სტუდენტთა კარიერულ განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ფაკულტეტებს (ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს და ზუსტ მეცნიერებათა და დაწყებითი განათლების ფაკულტეტს) და პროექტების ხელმძღვანელებს (უზრუნველყოს ჩაბარება სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა): ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტ ნესტან ვარშანიძეს, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტ დავით ბალაძეს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტ ნაჩუკი ფარტენაძეს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტ მარიამ დოლიძეს და ზუსტ მეცნიერებათა და დაწყებითი განათლების ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტ ანა სურმანიძეს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ,  
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი



გ. გვარიშვილი

„ბსუ-ს 2019 წლის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ 2019 წლის 04 აპრილის N 01-10/42 ბრძანების

დანართი 1

პროექტის ID: 15

რეგისტრაციის დრო: 2018-12-24 19:24:47

პროექტის ტიპი: საგანმანათლებლო

1. განმცხადებელი

1.1 პროექტის ხელმძღვანელი: ნესტან ვარშანიძე

1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში):

1.3 პირადი ნომერი

1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი): ქ.ბათუმი ჩაიკოვსკის N76

1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:

მობილური:

ელ.ფოსტა:

2. პროექტის შესახებ

2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): ეკონომიკური დებატები - ბსუ 2019

2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2019-მარტი- 01

2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2019-აპრილი-20

2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 5000

2.5 თანადაფინანსება: 0

2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 5000

3. პროექტის/ინიციატივის აღწერა

3.1 პრობლემის განსაზღვრა: სტუდენტური ცხოვრების მხოლოდ ლექციებზე დასწრებითა და მშობლიური საუნივერსიტეტო საზღვრებით შემოფარგლვა წინმსწრებია მოვლენებისა და შედეგებისა, რომლებიც საგანმანათლებლო სივრცის ამოსავალი წერტილის საპირისპიროა. დღევანდელი საუნივერსიტეტო სივრცეები ორიენტირებულნი არიან შიდა ურთიერთობებზე, აქტივობებსა და პროექტებზე, რის შედეგადაც მომავალი საზოგადო თუ სამეცნიერო მოღვაწეები, სტუდენტები მოკლებულნი არიან აზრთა გაცვლასა და ურთიერთკავშირს, რაც ხშირ შემთხვევაში აისახება მოქმედებათა, მისწრაფებათა სტრუქტურულ თუ თვისობრივ დიფერენცირებულ გამოვლინებებში, სწორედ ამ მიზეზიდან გამომდინარე, სუსტი კავშირების არსებობის საპირწონედ, საჭიროა მეტი ინტეგრაციული პროცესები, აქტივობები. თითქმის უმრავლეს შემთხვევაში, როგორც სტუდენტები პირად საუბრებში ასახელებენ, სტუდენტთა

ნაკლებჩართულობისა და ნიჰილისტური დამოკიდებულების განმაპირობებელ ფაქტორად, სათანადო ცოდნის პარალელურად, ასახელებენ იმ უნარ-ჩვევებს რომლებიც მათ ცოდნის გამოვლენასთანაა დაკავშირებული, როგორებიცაა არგუმენტაცია, საჯარო გამოსვლა, აუდიტორიასთან კონტაქტი. ამ პრობლემური საკითხის მოგვარებას ერთვის შესაბამის სიტუაციებში გამოვდილების არქონა, ან სიმწირე, რომელიც ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა ალტერნატიული მიდგომებისას. სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რეალურად მდგარი პრობლემა კონკრეტულ სფეროებში, სპეციალიზირებული საკითხების განხილვა, დისკუსია კომპეტენტური, სალი კრიტიკა, არამხოლოდ აკადემიური პერსონებისგან, არამედ თანატოლებისა და მომავალი კოლეგებისგან.

**3.2 მიზანი:** პროექტის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა უნივერსიტეტების ეკონომიკური პროფილის სტუდენტების ურთიერთობის გაღრმავების პროცესის ხელშეწყობა ფორმალური დებატების გზით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართულობითა და ხელშეწყობით.

**3.3 ამოცანები:** • პროექტის მონაწილეთა შერჩევა; • ფორმალური დებატების ტექნიკის შესწავლა პროექტის მონაწილეთათვის; • დებატების ეკონომიკური სკოლის სალექციო/სადისკუსიო უზრუნველყოფა; • კომუნიკაციის უზრუნველყოფა, როგორც აკადემიური, ისე პიროვნული მიმართულებით • უნივერსიტეტებს შორის კავშირების გამყარება. საგანმანათლებლო სივრცეში არაფორმალური განათლების მიღების არაერთი გზა არსებობს, თუმცა მნიშვნელოვანია მიზნობრიობის გათვალისწინებით როგორ ვიყენებთ მას. ჩვენ, ჩვენი გამოვდილებიდან გამომდინარე, ზემოთ დასახელებული გამოწვევების მისაღებად ერთ-ერთ საუკეთესო გზად ფორმალური დებატები გვესახება. ფორმალური დებატების ტექნიკის შესწავლით, როგორც პრაქტიკა და არაერთი კვლევა აჩვენებს, შესაძლებელია საკმაოდ მცირე დროში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორებიცაა საჯარო გამოსვლა, არგუმენტაცია, აუდიტორიასთან კონტაქტი. ჩვენი ამოცანაა, კონსტრუქციული დებატების ათვისებით სტუდენტთა ინტერესის ამაღლება ამ მიმართულებით და შესაბამისად, სამომავლო პოტენციალის გამოვლენა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველხარისხოვანია კონკრეტული ცოდნის არსებობა, რაც მომავალ მოდებატებს გაუმყარებს ზურგს. დღეს არავისთვის არაა უცხო რომ კონკრეტული მიმართულების სპეციალიზაციის სიმწირეა. ამაზე, თვით სტუდენტებიც კი ამახვილებენ ყურადღებას. სწორედ ამიტომ, ჩვენი ამოცანაა კონკრეტული აქტუალური, სადისკუსიო საკითხების განხილვა, სპეციალისტების კომპეტენტური აზრის მოსმენა, თანამედროვე, მიმდინარე პოლიტიკის ანალიზი, რაც შექმნის ერთიან სადისკუსიო სივრცეს, რომელიც მონაწილეებს საშუალებას მისცემს გაიღრმავონ ცოდნა. უშუალოდ პროექტის სპეციფიკა კი ემსახურება იმ ამოცანის განხორციელებას, რომ სხვადასხვა ქალაქის ერთი მიმართულების სტუდენტებს შორის დამყარდეს კომუნიკაცია, ჩამოყალიბდეს როგორც აკადემიური, ისე პიროვნული ურთიერთობები. პროექტის ხანგრძლივობაც და პროგრამის განაწილებაც, მიესადაგება მოცემულ მიზანს, რაც მონაწილეებს საშუალებას აძლევს გაცვალონ მოსაზრებები, გაეცნონ სტუდენტურ პრობლემებს, აქტივობებსა თუ პროექტებს, გაიმრავალფეროვნონ სტუდენტური ცხოვრება. პროექტის მონაწილეები წარმოადგენენ თავიანთ უნივერსიტეტებს, რაც კიდევ უფრო მეტად ხელს შეუწყობს უნივერსიტეტებს შორის კავშირების გამყარებას, სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, პარტნიორობას. ერთ-ერთი ამოცანა არის საუნივერსიტეტო სივრცეების დაახლოება სტუდენტების საშუალებით. მოცემული პროექტის მონაწილენი ჩვენი საუკეთესო წარმომადგენლები იქნებიან თავიანთ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

**3.4 განხორციელების გზები:** აღსანიშნავია, რომ პროექტის მიზანი და ამოცანები იდეურ თანხვედრაშია ერთმანეთთან და ზემოაღნიშნულთან კორელაციურ კავშირშია განხორციელების გზებზე. აღნიშნული პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, პროექტის განმავლობაში განვსაზღვრეთ კონკრეტული ნაბიჯები ჩვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. პროექტის სრულყოფის მიზნით, კოორდინირებული ქმედებებით ვუზრუნველყოფთ ყველა ეტაპის პერფექციონისტულ, მაღალპროფესიონალურ განხორციელებას. მონაწილეთა შერჩევა ეკონომიკური დებატების სკოლაში მონაწილეობა თავისუფალია უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტისთვის, ხოლო უპირატესობა მიენიჭებათ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს. პროექტში მონაწილეთა შესარჩევად საორგანიზაციო ოჯახი შევიბუშავებთ სააპლიკაციო ფორმას, მაიდენტიფიცირებელ მონაცემებთან ერთად, ჩავრთავთ აქტუალურ ეკონომიკურ საკითხს, რომელზეც მონაწილეებს შეეძლება დააფიქსირონ საკუთარი აზრი/შეფასება. რის მიხედვითაც მოვახდენთ მონაწილეთა შერჩევას პროექტის ორგანიზატორების და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად. აღნიშნული სააპლიკაციო ფორმა განთავსდება ინტერნეტში (სხვადასხვა სტუდენტური თვითმმართველობის ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში) და მიეწოდებათ წინასწარ განსაზღვრულ უნივერსიტეტებს, რათა მაქსიმალურად მოხდეს ყველა დაინტერესებულ პირთან აღნიშნული ინფორმაციის სწრაფად და ეფექტიანად მიწოდება. აღსანიშნავია, რომ საპროექტო ოჯახმა აღნიშნული მიმართულებით ჩაატარა რიგი სამუშაოები და პროექტს თან ერთვის თსუ-ს სტუდენტური

თვითმმართველობის პრეზიდენტის წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ აღნიშნული ინსტიტუტი უზრუნველყოს მონაწილეთა ტრანსპორტირებას თბილისი-ბათუმი-თბილისი მარშრუტის მიხედვით (იხ. სხვა ფაილებში). პროექტის არაბათუმელი მონაწილეები (დაახლოებით 20 სტუდენტი) განთავსდებიან უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ საერთო საცხოვრებელში, წინასწარი გამოკვლევის მიხედვით, უკვე არსებულ საერთო საცხოვრებელს შეუძლია ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღება. ამასთანავე, პროექტის განხორციელების დროს, სარემონტო სამუშაოები დასრულებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ახალ საერთო საცხოვრებელში. აღნიშნულს ადასტურებს სტუდენტთა კარიერული განვითარების, სპორტისა და კულტურის სამსახურის უფროსი მერაბ დიასამიძე. მომხსენებელთა შერჩევა და პანელური მოხსენებები პროექტის თემატიკიდან გამომდინარე, მომხსენებლების შერჩევაში და მათთან კომუნიკაციაში დაგეგმარება ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, რასაც ადასტურებს პროფესორი ვლადიმერ ლლონტის სარეკომენდაციო წერილი. აღნიშნული პროექტის პირველი ორი დღე დაეთმობა პანელურ დისკუსიებს, განხილვებსა და ლექციებს. 2 დღის განმავლობაში გაიმართება 4 ასეთი შეხვედრა, სადაც განხილული იქნება ქვეყნის წინაშე არსებული აქტუალური ეკონომიკური გამოწვევები. აღნიშნული მოხსენებები, როგორც პროექტის ზემო ნაწილშია აღწერილი, იქნება თეორიული ბაზისი პროექტის მონაწილეებისთვის, რომელსაც ისინი უშუალოდ ეკონომიკური დებატების თამაშების დროს გამოიყენებენ. ამ მიმართულებით, საპროექტო ჯგუფმა უკვე გადადგა ქმედითი ნაბიჯები და ერთ-ერთ მომხსენებელად მოიწვია და უკვე დაითანახმა პროექტის რეკომენდატორი პროფესორი ვლადიმერ ლლონტი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოხსენებები, პანელური დისკუსიები, ლექციები იქნება საჯარო და მასზე დასწრება იქნება თავისუფალი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ, რაც გაზრდის პროექტის და უნივერსიტეტის ცნობადობას საზოგადოებაში. დებატების ტექნიკის შესწავლა - ტრენინგები პანელური დისკუსიების გარდა, 2 დღის განმავლობაში გაიმართება საპარლამენტო ფორმატის დებატების ტექნიკის შემსწავლელი ტრენინგების ინტენსიური კურსი, სადაც მონაწილეები დაეუფლებიან დებატების ტექნიკას და პანელური დისკუსიების დროს მიღებულ თეორიულ ცოდნას გარდაქმნიან კონკრეტულ ეკონომიკურ არგუმენტებად. აღნიშნული პროექტი ფაქტობრივად, მრავალპროფილურია და მთლიანად ითავსებს პროექტის მონაწილეთა სრულ საჭიროებათა სპექტრს. დებატების ტურნირის ორგანიზება ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მზად არის დაგვიტომოს აუდიტორიები ტურნირის გასამართად. თითოეული აუდიტორიაში მოეწყობა სადებატო სივრცე, განთავსდება ტურნირისთვის საჭირო რეკვიზიტები, მონაწილეთა და მსაჯთა ადგილები განლაგებული იქნება სადებატო სივრცის შესაბამისად, რომელსაც ვუზრუნველყოფთ პროექტის ორგანიზატორები. გუნდები სხვადასხვა ქვეჯგუფებად გადანაწილდებიან. კენჭისყრის შესაბამისად დებატების შესარჩევ ეტაპზე თითოეულ დებატს ესწრება 2 მსაჯი, ეკონომისტი და გამოცდილი მოდებატე, პირველის კომპეტენციაში შედის შინაარსობრივი ნაწილის, ხოლო მეორის, დებატების კონსტრუქციულობის შეფასება, რაც უზრუნველყოფს თითოეული დებატის გამოვლენილი გამარჯვებულის ლეგიტიმურობას. ნახევარფინალურ ეტაპზე გადასული მონაწილეები დაწყვილდებიან კენჭისყრის შესაბამისად და გამართავენ ფორმალურ დებატს ეკონომიკურ საკითხზე. აღსანიშნავია ის გარემოება რომ თითოეულ დებატზე დასწრება იქნება თავისუფალი და აღნიშნულის შესახებ წინასწარ გავრცელდება ინფორმაცია სხვადასხვა საშუალებებით, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული პროექტის მიმართ დაინტერესება გაიზრდება მესამე პირებში. რაც შეეხება გრანდიოზულ ფინალურ შეხვედრას, მას მსაჯთა კოლეგია განსჯის, რომელშიც იქნება 10 მსაჯი(ეკონომისტები, დებატების ტრენერები, გამოცდილი მოდებატეები). დებატების ტურნირის ბოლოს გაიმართება დაჯილდოვების ცერემონიალი, სადაც გამოვლინდებიან გამარჯვებულები და მიიღებენ კუთვნილ პრიზებს. არაფორმალური აქტივობები პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე მთელი დღის განმავლობაში მონაწილეებს უწყვეტ სხვადასხვა დისკუსიებში, განხილვებში მონაწილეობა, დებატების ტრენინგებსა და თამაშებზე დასწრება. გარდა ამისა პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობებს, რითიც, ვფიქრობთ, რომ გაიზრდება კავშირი სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებს შორის. აღნიშნულის ფარგლებში საპროექტო ჯგუფი პროექტის მონაწილეებს სთავაზობს: 1) ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრული გვაქვს: ეკონომიკური რა? სად? როდის? 2) მოეწყობა წინასწარ შერჩეული ფილმის ჩვენება და განხილვა ეკონომიკურ ჭრილში. 3) აქტივობა - ჯგუფის დრო და დღის შეჯამება. 4) გავმართავთ სხვადასხვა თამაშებს, როგორცაა ეკონომიკური მაგიდის თამაშები. 5) აღნიშნული პროექტის ფარგლებში ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან, რათა უზრუნველყოს პროექტის მონაწილეთა სტუმრობა ბოტანიკურ ბაღში. სატრანსპორტო საშუალებად კი გამოყენებულ იქნება უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული ავტომობილები. 6) სხვა წინასწარ განსაზღვრული გასართობ-შემეცნებითი აქტივობები. თითოეული საღამოს აქტივობა,

წინასწარ გვაქვს დაგეგმილი და შემუშავებული. პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი უზრუნველყოფს ყოველი აქტივობის ხარვეზების გარეშე განხორციელებას (იხ. სხვა ფაილები).

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე
ეტაპი 1							
1	პროექტის მონაწილეთა სააპლიკაციო ფორმის შემუშავება, ინტერნეტში განთავსება და უნივერსიტეტებისთვის მიწოდება	1-30 მარტი					
2	მონაწილეთა შერჩევა	1-30 მარტი					
3	შერჩეულ მონაწილეებთან კონტაქტი	1-30 მარტი					
ეტაპი 2							

1	მომხსენებლეთა შერჩევა და მათთან კომუნიკაცია	1-30 მარტი					
2	ადგილობრივ თვითმმართველობასთან კონტაქტი, მათი წარმომადგენლ(ებ)ის მოწვევა და მოხსენებების დაგეგმვა	1-30 მარტი					
3	ზსუ-ს ადმინისტრაციასთან და ზსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან კოორდინირებული მუშაობა და კომუნიკაცია	1 მარტი	10 აპრილი				
ეტაპი 3							
1	პროექტის მომხსენებელთა და მონაწილეთა დახვედრა		10 – 15 აპრილი				
2	პანელური სამუშაოების გამართვა		10 – 15 აპრილი				

3	დებატების ტურნირის გამართვა		10 – 15 აპრილი					
ეტაპი 4								
1	გასვლითი ტური ბოტანიკურ ბაღში, ეკონომიკური სამაგიდო თამაშები, ეკონომიკური ფილმის ჩვენება/განხილვა, ეკონომიკური რაშად?როდის? ტურნირი		10 – 15 აპრილი					
2	მონაწილეთა დაჯილდოება		14 აპრილი					
3	მონაწილეთა გამგზავრება		15 აპრილი					



5. ბიუჯეტი

N	ხარჯების ჩამონათვალი	რაოდენობა	ფასი	სულ	ზსუ-დან მოთხოვნილი თანხა	თანადაფინანსება	ჯამი
1	შრომის ანაზღაურება						
1.1	პროექტის ხელმძღვანელი - ნესტან ვარშანიძე	1	600	600	600	0	600
1.2	პროექტის კოორდინატორი - გოგიტა ბარამიძე	1	400	400	400	0	400
2	აღჭურვილობა						
2.1	-	0	0	0	0	0	0
2.2	undefined	undefined	undefined	0	undefined	undefined	0

3	საქონელი და მომსახურება						
3.1	დებატების ტრენერი	1	250	250	250	0	250
3.2	პანელის მომხსენებლის ანაზღაურება	3	225	675	675	0	675
3.4	დებატების მსაჯების მომსახურება	6	50	300	300	0	300
3.5	პროექტის გამარჯვებულთათვის (პირველი ადგილზე) წიგნები	3	100	300	300	0	300
3.6	პროექტის გამარჯვებულთათვის (მეორე ადგილზე) წიგნები	4	50	200	200	0	200
3.7	პროექტის გამარჯვებულთათვის (მესამე ადგილზე) წიგნები	1	30	30	30	0	30
3.8	პროექტის გამარჯვებულთათვის (მეოთხე ადგილზე) წიგნები	6	20	120	120	0	120

4	საოპერაციო ხარჯები						
4.1	-	0	0	0	0	0	0
5	სხვა საქონელი და მომსახურება						
5.1	დეზატების მონაწილეთა (50 ადამიანი) საუზმე, სადილი- 5 დღის განმავლობაში	50	40	2000	2000	0	2000
5.2	ფურშეტი (ყავის შესვენება)	50	2.5	125	125	0	125
დარჩენილი თანხა, ლარი:			სულ, ლარი:		NaN	NaN	5000

6. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: პროექტი გათვლილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, ან სამომავლოდ პროექტის ფარგლებში დაინტერესდებიან ფორმალური დებატების სწავლებით. პროექტი გათვლილია ძირითადად სამი საუნივერსიტეტო ქალაქის სტუდენტებზე (ბათუმი, თბილისი, ქუთაისი). მოიცავს დასახელებულ ქალაქებში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებს. მთლიანად პროექტის ფარგლებში შეირჩევა 40 მონაწილე, საიდანაც 20 იქნება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ხოლო 20 მონაწილე ქუთაისიდან და თბილისიდან. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში პროგრამით გათვალისწინებული ლექციათა ნაწილი აქტუალურ ეკონომიკურ თემებზე და აღნიშნულ ლექციებზე დასწრება შეეძლება არა მარტო პროექტის მონაწილეებს, არამედ სხვა დაინტერესებულ პირებსაც.

7. მოსალოდნელი შედეგები: პროექტის მოსალოდნელი შედეგები დგება დასახული მიზნებიდან გამომდინარე. სავარაუდო ეფექტი დაგეგმილი ღონისძიების განისაზღვრება მასში ჩართული მონაწილეების, პროექტის ბენეფიციარების კმაყოფილების დონით. ეს მონაცემები წარმოდგება რაოდენობრივი და თვისობრივი სახით. პირველ რიგში, აღსანიშნავია პროექტში ჩართულობის მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს პროექტის ხარისხს. ერთ-ერთი მთავარი, პირდაპირი მიზანია ახალგაზრდებში დებატების კულტურის განვითარება, მათი შემდგომი დაინტერესება, ჩართულობა. ეს თავისთავად აისახება არამხოლოდ ამ ახალგაზრდებში, არამედ მათ გარშემო სხვა პირებზეც, რაც მეტად პოპულარულს გახდის უნივერსიტეტების მასშტაბით კონსტრუქციული დებატების ტექნიკას. პროექტის სპეციფიკა ემყარება იმ მოსალოდნელ შედეგს, რომ ეკონომიკური მეცნიერების მიმართულებით გაფართოვდება მონაწილეთა თვალსაწიერი, შეიქმნება პრაგმატული, სადისკუსიო სივრცე, რომელშიც გამოვლინდება დამოუკიდებელი დამოკიდებულებები, შეხედულებები თანადროულ, აქტუალურ ეკონომიკურ საკითხებზე. ჩამოყალიბდება როგორც მონაწილეთა, ასევე უნივერსიტეტთა შორის მეგობრული, საქმიანი ურთიერთობები, როგორც სტუდენტურ, ისე აკადემიურ დონეზე. პროექტის შედეგებში ერთიანდება შემდგომი თანამშრომლობის საშუალებაც, რაც რეალურად შეიძლება მოჰყვეს ამ პროექტს. გაიზრდება სტუდენტური საუნივერსიტეტო ცხოვრების მრავალფეროვნება, ესაა საშუალება უკეთესი კომუნიკაციების დამყარებისა. პროექტის დაგეგმილ ვადებში და ბიუჯეტში განხორციელება კი არის ორგანიზატორთა მთავარი მოსალოდნელი შედეგი. პროექტის განმახორციელებლებს მისცემს მეტ გამოცდილებას, კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი, ეფექტური, რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარების საშუალებას. იქნება პრაქტიკული გამოცდილება. ამ ყველაფრის ფონზე სამომავლო, უფრო მასშტაბური და საინტერესო პროექტების გაკეთების შესაძლებლობა.

8. მონიტორინგი: მონიტორინგის მთავარი ფუნქციაა პროექტის განხორციელებაზე კონტროლის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს პროექტის მიმდინარეობის შედარებას თავდაპირველ გეგმასთან. ჩვენ მიერ შემდგომში აღწერილი მონიტორინგის ფორმების მთავარი მიზანია პროექტის მიმდინარეობისას დროული და ეფექტური ნაბიჯების გადადგმა. მაჩვენებლებს ორ ნაწილად განვიხილავთ, პირველ რიგში, დაგეგმილი სამუშაოების, ეტაპების ორგანიზაციული მხარე, რაც გამოიხატება რაოდენობრივად და ხარისხობრივად გამოხატული თვისობრივი მაჩვენებლებით. პროექტის დინამიკური ხასიათისა და სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რეგულარული (უშუალოდ განხორციელების მომენტამდე - ყოველი ეტაპის ბოლოს, განხორციელების მომენტში - ყოველდღიური) ინფორმაციის შეგროვება და მონიტორინგი. ერთ-ერთ საბაზისო მაჩვენებლად აღებული გვაქვს პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის თითოეული წევრის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის, ფუნქციებისა და საქმიანობის შეფასება ორგანიზაციული, დროული, ხარისხიანი, ეფექტური განხორციელების მიმართულებით. ორგანიზაციული მიმართულებით გვაქვს რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომელიც აისახება პროგრამაში გათვალისწინებული ლექციათა რეალურად ჩატარებულის რაოდენობასთან შედარებით და სწრებადობით (როგორც აბსოლუტური, ისე პროცენტული სახით). ასევე, სადამოს დაგეგმილ სხვა გასართობ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობების დროის ათვისების მაჩვენებლით. ვაწარმოებთ ყოველდღიურ სტატისტიკას, რაც პროექტის მიმდინარეობის მყისიერი, თვალსაჩინო შეფასების საშუალებას მოგვცემს. თვისობრივი მაჩვენებლის ასახვის საუკეთესო ხერხად გვესახება გამოკითხვა უშუალოდ პროექტის ბენეფიციარებისა. ეს პროცესი მოიცავს როგორც საგანმანათლებლო ნაწილის ინდივიდუალურ შეფასებას, ისე მთლიანი პროექტისა. კითხვარები მომზადდება საკუთრივ მოხსენების თემატიკიდან გამომდინარე, რომელიც შეივსება ყოველი პანელისა თუ ტრენინგის შემდეგ. ხოლო

მეორე სახის კითხვარი მომზადდება მთლიანი პროექტის ფარგლების გათვალისწინებით, მიზნობრივი კითხვებით. ბენეფიციარების შეფასებები ერთ-ერთი ამოსავალი წერტილი იქნება შემდგომი ჩვენი შემაჯამებელი შეფასებისა, ანგარიშისა. მონიტორინგის მთავარ ორგანოდ კი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალით დაკომპლექტებულ კომისიას განვიხილავთ. ეს კომისია შეიქმნება პროექტის აქტიური ფაზის პარალელურად, წინასწარ გაეცნობა პროექტს, პროექტის მიზნებს, ამოცანებსა და მისი განხორციელების გზებს, მონიტორინგის საშუალებებს და ყოველდღიურად, ანგარიშის სახით პროექტის განმახორციელებლებისგან მიიღებს ინფორმაციას, განიხილავს და ეფექტური კომუნიკაციის გზით მუშაობის გაუმჯობესების მიზნით გასცემს საჭირო რეკომენდაციებს. აღნიშნული კომისიის შექმნის შზაობა უკვე გამოხატა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ვლადიმერ ლლონტმა. ვფიქრობთ, რომ ერთი მხრივ, პროექტის მონაწილეთა აზრის ყოველდღიური კვლევა და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ პროექტის შინაარსობრივი ნაწილის მონიტორინგი/შეფასება მოგვცემს საშუალებას გამოვლენილი გამოწვევები თუ პრობლემები აღმოვხვრას დროულად და პროექტი ჩატარდეს მაღალი ხარისხითა და უხარვეზოდ.

**9. შეფასება:** პროექტის წარმატების კრიტერიუმების (მაჩვენებლების) მონაცემებს გავზომავთ ორი სახის მიდგომით, პროექტის პროცესისა და უშუალოდ შედეგების შეფასებით. შეფასება მთელი პროცესის განმავლობაში ხორციელდება, განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანი ეტაპების დასრულების შემდეგ. ასეთი ტიპის შეფასება გულისხმობს პროექტის მიმდინარეობის დეტალურ მონიტორინგს. საჭიროა შეგროვდეს ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის დროს და განისაზღვროს აღწევს თუ არა პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები დასახულ მიზნებს და პასუხობს თუ არა პროექტის ამოცანებს (ადმინისტრაციული და პროგრამული ფუნქციებისა და აქტივობების შეფასება). ეს დაგვეხმარება მუდმივად განვახორციელოთ პროექტის მიმდინარე მიღწევების, დასახული ამოცანების შესრულების შეფასება. საბოლოო პროექტის შეფასება მოიცავს კომპლექსურ სტემას ბენეფიციარებისა და საზოგადოების სარგებლიანობის, მიღებული ცოდნის, გამოცდილების მაჩვენებლებს, რომლითაც ფასდება პროექტის გავლენა აღნიშნული დადებითი ცვლილებების მიმართულებით. რა სარგებელი მიიღეს უშუალოდ მონაწილეებმა, როგორც მიმდინარე დებატების ტურნირისათვის, ასევე ზოგადი ცოდნის ამაღლებისათვის, მათი კმაყოფილების დონის შეფასება. თვალსაჩინო, რეალურ სურათს ასახავს რაოდენობრივი (აბსოლუტური, პროცენტული) მაჩვენებლები, მონაცემები, რომლებიც ყოველი სამუშაო დღის შემდეგ დაგკუთვდება და გაანალიზდება. პროექტის საბოლოო შეფასებით განისაზღვრება, მიაღწია თუ არა პროექტმა თავდაპირველ მისიას, დასახულ მიზნებს, მისი სამომავლო პერსპექტივების არსებობა. პანელური მოხსენებების რაოდენობა - 4 დებატების ტურნირის შესარჩევი ეტაპზე მატჩების რაოდენობა - 20 მატჩი დებატების ტურნირის შესარჩევი ეტაპის რაუნდების რაოდენობა - 4 რაუნდი დებატების ნახევარფინალური და ფინალური მატჩების რაოდენობა - 3 მატჩი

„ბსუ-ს 2019 წლის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ 2019 წლის 04 აპრილის N 01-10/42 ბრძანების

დანართი 2

პროექტის ID: 22

რეგისტრაციის დრო: 2018-12-26 16:48:01

პროექტის ტიპი: საგანმანათლებლო

1. განმცხადებელი

1.1 პროექტის ხელმძღვანელი: დავით ბალაძე

1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში): სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება

1.3 პირადი ნომერი:

1.4 ფაქტური მისამართი (საცხოვრებელი): ბაგრატიონის ქ. 64

1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:

მობილური

ელ.ფოსტა:

2. პროექტის შესახებ

2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): სტუდენტები განვითარებისთვის

2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2019-მარტი-01

2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2019-ივნისი-15

2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 4940

2.5 თანადაფინანსება: 0

2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 4940

3. პროექტის/ინიციატივის აღწერა

3.1 პრობლემის განსაზღვრა: ბსუ-ში სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლება სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობით, რაც ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024) შესრულებისთვის არასაკმარისად მიგვაჩნია. მათ შორის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამოსაყოფია ორი ძირითადი პრობლემა, ესენია: 1. „სამეცნიერო კვლევითი პროდუქტების ნაწილი უფრო მეტად ატარებს ხასიათს „კვლევა კვლევისთვის“ და ნაკლებად რეზონანსულსა და საზოგადოებასა და ბიზნესწრეებში; 2. სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელსა და მეცნიერ-მკვლევარს შორის არსებული კავშირი სუსტია, „კვლევითი უნივერსიტეტის“ იდეის განსაზღვრებად საჭიროა პროცესების უფრო მეტად ინტეგრაცია“.

მიუხედავად იმისა, რომ ლექტორთა ნაწილი ჩართულია და ახორციელებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევით საქმიანობას, მათი შედეგები სტუდენტებზე ნაკლებად აისახება. კონკრეტულად, არ ხდება სტუდენტთა უშუალო ჩართვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, სტუდენტებმა არ იციან სამეცნიერო კვლევითი პროექტების წერა (ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი პროექტების კონკურსში წარსადგენად), აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარსადგენი ნაშრომის წერისას ვლინდება „ციტირებისა“ და „აკადემიური კეთილსინდისიერების“ წესის დარღვევა, რაც საუნივერსიტეტო საზოგადოების პირველხარისხოვანია.

**3.2 მიზანი:** სტრატეგიული განვითარების გეგმაში ასახული პრობლემა 1-ისა და 2 -ის გადასაჭრელად, „ბსუ მიზნად ისახავს: უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს ღირებული, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის“. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მიგვაჩნია რამდენიმე ქვე მიზნის დასახვა, ესენია:

1. \* კვლევაზე დაფუძნებული სწავლება და სამეცნიერო კვლევების ხარისხის მნიშვნელობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებისთვის” - სტუდენტებისთვის ხარისხიანი, ორიგინალური (კეთილსინდისიერი) კვლევების მნიშვნელობის შესახებ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას;
2. სტუდენტებისთვის პლაგიატის პრობლემისა და მასთან ბრძოლის პრაქტიკების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა ;
3. სტუდენტთა გადამზადება (დატრენინგება) სამეცნიერო სტატიის, სამეცნიერო პოპულარული სტატიისა და რეფერატული ნაშრომების წერაში;
4. სტუდენტთა გადამზადება (დატრენინგება) სამეცნიერო კვლევითი პროექტის წერაში - მათში ;

### 3.3 ამოცანები:

1. გამოცდილი მკვლევრების (მეცნიერების) მეშვეობით უნივერსიტეტში საჯარო ლექციებისა და ტრენინგების ჩატარება პლაგიატის პრობლემის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ხარისხიანი სამეცნიერო კვლევის მნიშვნელობის შესახებ;
2. აღნიშნულ ლექციებზე სტუდენტების/მსმენელების შერჩევა - ისინი შეირჩევიან სამოტივაციო წერილის, სამეცნიერო აქტივობისა და GPA-ის მიხედვით;

პირობები: 1. აპლიკაცია-მკითხვარის შევსება, 2. ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ, GPA-ის მითითებით, 3. ფაკულტეტების მიხედვით მონაწილეთა პროპორციული განაწილება.

3. სტუდენტთა ფართო აუდიტორიისთვის ლექციებისა და ტრენინგების ვიდეო ჩაწერა და გავრცელება  
შემსრულებელი: უნივერსიტეტის პიარის სამსახური + ვიდეო გადაღება;

**3.4 განხორციელების გზები:** 1. საჯარო ლექციათა ციკლის წარმატებით შესრულებას უზრუნველყოფს „სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება“ - უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულების მათ შორის: სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისა და კვლევების სამსახურის ზედამხედველობით. 2. საჯარო ლექციები ჩატარდება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ნინოშვილის N35) რეგისტრირებულ მონაწილეთა ოდენობის შესაბამის აუდიტორიაში; 3. აღნიშნულ ლექციებს/ტრენინგებს ჩაატარებენ მოწვეული ექსპერტები, მათ შორის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში

წარმატებული შედეგები - ტრენერები შეირჩევა როგორც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ასევე სხვა უმაღლესი და კვლევითი ინსტიტუტიდან; 4. ლექციებისა და ტრეინინგების ვიდეო ჩაწერას და გავრცელებას უზრუნველყოფს ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეულები;

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე
ეტაპი 1							
1	ტრენერების შერჩევა (4 ტრენერი)	მარტი	აპრილი				
2	სტუდენტების (მონაწილეთა შერჩევა)	მარტი					
3	ტრეინინგები (4 ლექცია ტრეინინგი)		აპრილი	მაისი	ივნისი		



5. ბიუჯეტი

N	ხარჯების ჩამონათვალი	რაოდენობა	ფასი	სულ	ზსუ-დან მოთხოვნილი თანხა	თანადაფინანსება	ჯამი
1	შრომის ანაზღაურება						
1.1	პროექტის ხელმძღვანელი (კონკრეტული აქტივობისთვის)	1	350	350	350		350
1.2	დამხმარე თანაშემწე (4 სტუდენტი, 35ლარი ერთ ადამიანზე)	4	140	560	560		560
2	აღჭურვილობა						
2.1	ნოუთბუქი	1	0	0			0

2.2	ვიდეო კამერა - ხმის ჩამწერის აპარატურით ფოტო აპარატი (შეხვედრების გადასაღებად)	1	0	0			0
2.3	პროექტორი	1	0	0			0
3	საკონელი და მომსახურება						
3.1	მომხსენებლის/ექსპერტის ჰონორარი (4 ადამიანი)	4	400	1600	1600	0	1600
3.2	აუდიტორია	1	0	0	0	0	0
4	საოპერაციო ხარჯები						
4.1	სერტიფიკატი	65	2	130	130		130
4.2	საკანცელარიო ხარჯები (კალმები, ბოლქნოტები, თაბახის ფურცლები და სხვა)	1	500	500	500		500

5	სხვა საქონელი და მომსახურება						
5.1	ფურშეტი (1 დღე X 450 ლარი)	4	450	1800	1800		1800
დარჩენილი თანხა, ლარი:			სულ, ლარი:		4940	0	<b>4940</b>

6. მიზნობრივი ჯგუფები/შენეფიციარები: სტუდენტები, რომელთა მხრიდან დიდია დაინტერესება სამეცნიერო საქმიანობის მხრივ.

7. მოსალოდნელი შედეგები: ა) რაოდენობრივი მაჩვენებლებით აღნიშნულ ლექციათა ციკლს დაესწრება 40-60 შერჩეული სტუდენტი/მსმენელი; ბ) თვისობრივი მაჩვენებლებით სტუდენტები აიმაღლებენ ცოდნას პლაგიატის, აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ, აგრეთვე ისწავლიან სამეცნიერო კვლევითი პროექტებისა და სამეცნიერო სტატიების წერას.

8. მონიტორინგი: აღნიშნული პროექტი ჩატარდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საშუალება ექნება განახორციელოს პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი. გარდა ამისა, პროექტის დასრულებისას წარმოვადგენთ საჯარო ლექციების განხორციელების პროცესის ამსახველ ფოტო და ვიდეო მასალას, დამსწრეთა სარეგისტრაციო ანკეტებს.

9. შეფასება: 40-60 სტუდენტი აიმაღლებს ცოდნას სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობისა და გამოყენების შესახებ, რაც მათ დაეხმარებათ სამომავლო პროფესიული და აკადემიური მოღვაწეობის წარმართვასა და დაგეგმვაში.

პროექტის ID: 14

რეგისტრაციის დრო: 2018-12-24 12:17:02

პროექტის ტიპი: საგანმანათლებლო

1. განმცხადებელი

1.1 პროექტის ხელმძღვანელი: ბაჩუკი ფარტენაძე

1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში):

1.3 პირადი ნომერი:

1.4 ფაქტური მისამართი (საცხოვრებელი): ი.ჯავახიშვილის 44

1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:

მობილური:

ელ.ფოსტა:

2. პროექტის შესახებ

2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): ლიბეროუმი

2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2019-მარტი-01

2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2019-ივნისი-15

2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 5000

2.5 თანადაფინანსება: 0

2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 5000

3. პროექტის/ინიციატივის აღწერა

3.1 პრობლემის განსაზღვრა: საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მისწრაფება ნათელი და აშკარა ევროპისკენ, დასაგლეუთისკენ, როგორც პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ღირებულებებისკენ. ეს პროცესი შუქცევადი და მიღწევადია. მიუხედავად ამისა, ამ გზაზე არაერთ ინსტიტუციური, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით გამოწვეული პრობლემაზე უწევს საქართველოს რეაგირება და თავის არიდება, რაც ბუნებრივია, ამ გზას უფრო რთულს და ხანგრძლივს ხდის. პრობლემათა სპექტრი ფართოა, თუმცა უმთავრესად გამოკვეთილია არასწორი, გაუაზრებელი, მიზამნიმართულად მცდარი და არასწორი ინფორმაციების არსებობა ევროპის, ევროპული ღირებულებების შესახებ, რაც ბუნებრივია ადამიანებში, ჩვენს მოქალაქეებში არასწორად აყალიბებს

ღირებულებათა დოქტრინას, რაც ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის ნათელ მომავალს გააზრებული ევროპული მომავლის არჩევამი. მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, სამოქალაქო თვითშეგნების, სამოქალაქო ინტეგრაციის დაბალი დონე, კულტურული პლურალიზმის მიმართ შეუწყნარებლობა, ძალადობა განსხვავებულის მიმართ, მათ შორის, ზავშეგნებშიც, ეს ის შედეგებია, რასაც ვიღებთ არასწორი, დამახინჯებული, მცდარი წარმოდგენებით დასავლურ კულტურასა და ღირებულებებზე. მეორე მხრივ, დაბალია ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელი ზემოთ ხსენებულ დადებით პროცესებში, შესაბამისად, ძირითადი მსხვერპლები პროპაგანდისა თუ მიზანმიმართული დამახინჯებული ინფორმაციისა სწორედ ისინი არიან. უმთავრესი ყურადღება კი სწორედ მათზე უნდა გამახვილდეს, რადგანაც ახალგაზრდები, მოსწავლეები, სტუდენტები, არიან ქვეყნის მომავალი, რომლებმაც უნდა შექმნან კულტურულ პლურალიზმზე დაფუძნებული, შემწყნარებელი სამოქალაქო საზოგადოება. აღნიშნულ თემებზე დისკუსიები და დებატი არის ერთადერთი არაძალადობრივი გამოსავალი, რადგანაც, სწორედ ამ დროს გადაიაზრებს ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, თავის ღირებულებებს, შეხედულებებს და კრიტიკული ანალიზის უნარის ჩამოყალიბებით ხდება უკეთესი მოქალაქე, რომელიც კარგად იაზრებს ინსტიტუციონალური სიმყარის მნიშვნელობას სახელმწიფოს განვითარების, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, რომელიც შემდგომ უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარებას, მოსახლეობის სოციალურ კეთილდღეობას, ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და ეკონომიკურ ძლიერებას, ასევე ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას. ბუნებრივია, აღნიშნული მისიის შესრულება თავის თავში მოიცავს სტუდენტური დისკუსიების ხელშეწყობას, საჯარო ლექციების გამართვის აუცილებლობას, რადგანაც ლიბერალური საზოგადოების ფორმირების პროცესის ხელშეწყობა სადისკუსიო სივრცეების არსებობაზე დგას.

**3.2 მიზანი:** პროექტის მიზანია ახალგაზრდებში დისკუსიების, აზრთა სხვადასხვაობისა და პლურალიზმის მიმღებლობის ხელშეწყობა.

**3.3 ამოცანები:** 1. სტუდენტებისათვის საინტერესო თემატიკის კვლევა და სწორად შერჩევა, რადგან აუცილებელია სწორად შეირჩეს ამ საკითხში კონკრეტულად ის თემატიკა, რომელიც სტუდენტებისათვის სხვასთან შედარებით უფრო საინტერესოა. 2. სტუდენტებისათვის საინტერესო მომხსენებლების შერჩევა, რადგან მნიშვნელოვანია, რომ მომხსენებლები გათვითვინობიერებულნი იყვნენ აღნიშნულ თემატიკაში და ისინი საუბრობდნენ სტუდენტებისათვის გასაგები და საინტერესო ენით. 3. სტუდენტებისათვის საინტერესო მომხსენებლებთან შეხვედრების და საჯარო ლექციების უზრუნველყოფა. ღია დისკუსიები და ჯანმრთელი კამათი აუცილებელია საკითხის მიმართ უფრო დიდი ინტერესის გაჩენაში და საკითხის უფრო ღრმად შესწავლისათვის.

**3.4 განხორციელების გზები:** უპირველეს ყოვლისა, სტუდენტებისთვის შევქმნით კითხვარს ინტერნეტ-სივრცეში, რომლის დახმარებითაც ჩვენ გამოვავლენთ კონკრეტულ თემებსა და პიროვნებებს, რომლებიც უფრო საინტერესოები არიან ახალგაზრდებისათვის. შემდგომ, ჩვენ მოვიწყვეთ გამარჯვებულებს და ვუზრუნველყოთ საჯარო ლექციის გამართვას, სადაც დეტალურად იქნება განხილული საკითხი, რომელიც მოიცავს კითხვა-პასუხის ფორმატს და ღია დისკუსიებს. პროექტი მოიცავს 10 ლექციას სხვადასხვა თემატიკებზე, ლექციები ჩატარდება კვირაში ერთხელ, აღნიშნული ლექციები ჩატარდება უნივერსიტეტის თავისუფალ სივრცეში, რომელიც თავის ფუნქციას უკეთესად აითვისებს.

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე
ეტაპი 1							
1	პირველადი კვლევა - სადისკუსიო თემატიკებსა და მომხსენებლებზე	მარტი	აპრილი	0	0	0	0
2	პირველი ორი დისკუსიის გამართვა	0	აპრილი	0	0	0	0
3	შემდეგი 4 დისკუსიის გამართვა	0	აპრილი	მაისი	0	0	0
4	ბოლო 4 დისკუსიის გამართვა	0	0	მაისი	0	0	0
5	პროექტის ანგარიის წარდგენა	0	0	მაისი	ივნისი	0	0

5. ბიუჯეტი

N	ხარჯების ჩამონათვალი	რაოდენობა	ფასი	სულ	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა	თანადაფინანსება	ჯამი
1	შრომის ანაზღაურება						
1.1	პროექტის ხელმძღვანელი: ბაჩუკი ფარტენაძე	1	650	650	650	0	650
1.2	პროექტის კოორდინატორი: ზურაბ პაპუნძე	1	350	350	350	0,	350
2	აღჭურვილობა						
2.1	პროექტორი	1	0	0	0	0	0
3	საქონელი და მომსახურება						

3.1	მომხსენებლის პონორარი	10	400	4000	4000	0	4000
4	საოპერაციო ხარჯები						
5	სხვა საქონელი და მომსახურება						
დარჩენილი თანხა, ლარი:			სულ, ლარი:		5000	NaN	5000



6. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: აღნიშნული პროექტის ბენეფიციარები არიან რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი, რომლებიც 3 ძირითად ჯგუფად იყოფიან: 1. ბსუს სტუდენტები 2. მოსწავლეები 3. ამ ორ ჯგუფთან დაკავშირებული სხვა სოციალური ჯგუფები უპირველეს ყოვლისა, ჩვენი პროექტი იმიტომ არის აუცილებელი და სასარგებლო სტუდენტებისთვის, რომ ჩვენი პროექტი ეხმარება მათ ფორმალური განათლების გარდა მიიღონ არაფორმალური განათლება, რაც შემდგომში დაეხმარება მათ ღირებულებათა დოქტრინის ჩამოყალიბებაში, სწორი და გაუკუღმართებული წარმოდგენის შექმნაში დასავლური ღირებულებების და ფასეულობების შესახებ და საშუალებას მისცემს მათ აქტუალური საკითხები განიხილონ ამ თემაში გარკვეულ და პრაქტიკულად ჩართულ ადამიანებთან ერთად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბსუ უნდა ეცადოს, რომ მეტი კონტაქტი დაამყაროს მომავალ თაობასთან, იმ მოსწავლეებთან, რომლებიც აპირებენ, რომ მიიღონ უმაღლესი განათლება. ფაქტია, რომ ეს კავშირი და კონტაქტი მომავალში იქონიებს გავლენას სტუდენტებზე უნივერსიტეტის არჩევის დროს. ბუნებრივია, რომ ასეთი ქმედება უნივერსიტეტის მხრიდან იქნება ერთგვარი სოციალური აქტი, რომელიც გამოხატავს იმას, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს არამარტო საკუთარ სტუდენტებზე, არამედ რეგიონში მცხოვრებ სხვა ახალგაზრდებზე. ჩვენ ვთვლით, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია მესამე ჯგუფი, რადგან მიგვაჩნია, რომ სასურველი შედეგის მისაღებად სწორედ მესამე ჯგუფში უნდა მოხდეს უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლება და სწორი აზრის ჩამოყალიბება ბსუს შესახებ.

7. მოსალოდნელი შედეგები: 1. უნივერსიტეტში შეიქმნება სადისკუსიო სივრცე 2. შეუქმნის ბსუ-ს დადებით იმიჯს მესამე პირებში (მოსწავლეები და სხვა) 3. ბსუს დაეხმარება მისი მისიის უკეთ შესრულებაში, რაც გულისხმობს, ჩვენს რეგიონში ლიბერალური და დემოკრატიული ფასეულობების უკეთ დამკვიდრებაში

8. მონიტორინგი: პროექტის მონიტორინგი 2 სახისაა: ტექნიკური და შინაარსობრივი. ტექნიკურ მონიტორინგში მოიაზრება ის, რომ პროექტი ჩატარდა იმ ვადებში, რომელიც პროექტის ორგანიზატორებს ჰქონდათ მითითებული, ან მაგალითად ის თუ რამდენი სტუდენტი ესწრებოდა ლექციებს და დაემთხვა თუ არა ლექციებზე სწრებადობა თავდაპირველ მოლოდინებს და ჩატარდა თუ არა იმ რაოდენობის ლექცია, რომელიც ორგანიზატორებმა მიუთითეს შინაარსობრივი მონიტორინგი მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზატორებმა მოიწვიონ ის მომხსენებლები, რომლებსაც ახალგაზრდებმა გამოკითხვაში მიანიჭეს უპირატესობა, ან თუ ვერ მოიწვიეს კონკრეტულად ის პიროვნება, მოახერხეს თუ არა ჩვენს ვადებში ღირსეული კანდიდატით, რომელიც არანაკლებადაა გარკვეული მოცემულ საკითხში, ამასთანავე მოხდება პირველადი კვლევის მონაცემების განახლება ყოველი შეხვედრის შემდეგ.

9. შეფასება: პროექტის ხანგრძლივობა: 4 თვე (მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი) დისკუსიათა რაოდენობა: 10 თითოეულ დისკუსიაში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა მინიმუმ: 25 სტუდენტი.

„ბსუ-ს 2019 წლის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ 2019 წლის 04  
აპრილის N 01-10/4 ზ ბრძანების

დანართი 4

პროექტის ID: 29

რეგისტრაციის დრო: 2018-12-28 12:50:07

პროექტის ტიპი: სამეცნიერო - კვლევითი

1. განმცხადებელი

1.1 პროექტის ხელმძღვანელი: მარიამ დოლიძე

1.2 მეცნიერ-ხელმძღვანელის სახელი-გვარი: შაია ვანიძე (ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი)

1.3 პირადი ნომერი:

1.4 ფაქტური მისამართი (საგზოო რუკით): ბათუმი, ანდრია პირველწოდებულის ქ. N23

1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:

მობილური:

ელ.ფოსტა

2. პროექტის შესახებ

2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): აჭარის ზოგიერთი ადგილობრივი მცენარის ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა და მათი გამოყენების პერსპექტივები

2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2019-05-01

2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2019-10-31

2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 3000

2.5 თანადაფინანსება: 0

2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 3000

3. პროექტის/ინიციატივის აღწერა

3.1 საკვლევი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება: აჭარის ფლორა და მცენარეულობა გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და თავისთავადობით, რაც განპირობებულია ჯერ კიდევ მესამეულ (პალეოგენი) პერიოდში ჩამოყალიბებული უძველესი მცენარეული დაჯგუფებებითა და რელიქტური სახეობებით მდიდარი ადგილობრივი და ადგილობრივი ფლორით. საქართველოში, მათ შორის აჭარაში, ეს მცენარეები გავრცელებულია როგორც სარეველები, მოიცავს დიდ ფართობებს, მათი მარაგი საკმაოდ დიდია, მედეგი არიან დაავადებების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ

მრავალი მათგანი უცხოეთში გამოყენებულია, როგორც ნედლეული ბიოაქტიური პრეპარატისათვის (მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის) საქართველოში მათი საფუძვლიანი კვლევა კი არ ჩატარებულა. მიუხედავად იმისა, რომ ინტერესი ამ მცენარეების მიმართ უცხოეთში ძალზე მაღალია, სამწუხაროდ ცალკეული გამოწვევის გარდა ეს მცენარეები საქართველოში სრულფასოვნად არაა შესწავლილი, სარეველად მიიჩნევა და არ ხდება მათი გამოყენება. ამ მხრივ საინტერესო ნედლეულს წარმოადგენს *Sanicula Europea* L, *Artemisia vulgaris*, *Lonicera caprifolium* L, *Stelaria media* (L.) Vill, *Gleditschia tracanthos* L, *Robinia pseudacacia* L, *Phytolacca americana* L, *Polygonum hydropiper* L, *Ophiopogon japonicus* Ker-Gawl. (*Convallaria japonica* L.), *Hydrangea macrophylla* და სხვა. (Nikolova.. 2004, 2005, Mehdi Mojarab..2009, Sang-Jun Lee1 .Golnaz Tajadod, PRASANTA KUMAR MITRA...2014, MikSátková...2014, Arora D...2012 Kitanov G... Hodisan V, Pande A...1995, Sharma A...2012, Anupam Sharma...2012) ეს მცენარეები მდიდარია ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული, ანტიოქსიდანტური და სხვა ფიზიოლოგიური აქტივობის მქონე ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით (ველურ ბუნებაში პრაქტიკულად არ ზიანდებიან დაავადებებით). მრავალ ქვეყანაში ეს მცენარეები რეგისტრირებულია, როგორც ფარმაცევტული ნედლეული და გამოიყენება სამკურნალო დანიშნულებით. მრავალი მათგანი გამოიყენება, როგორც პრეპარატი მცენარეების დაავადებათა წინააღმდეგ. ლიტერატურაში გამოჩნდა ამ პრობლემასთან დაკავშირებული სტატიები, სწავლობენ სხვადასხვა მცენარის ქიმიურ შედგენილობას, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ბიოაქტიური ნაერთების რაოდენობრივ და თვისობრივ შემცველობაზე, ანტიოქსიდანტურ, ანტიბაქტერიულ, ანტიმიკრობულ, ფუნგიციდურ, ჰერბიციდულ, რეპელენტურ და სხვა ეფექტის კორელაციაზე ამ ნაერთების შემცველობასთან. ძლიერი ფუნგიციდური მოქმედებით ხასითდება წყლიანი ექსტრაქტებიდან და ნაყენებიდან გამოყოფილი ალკალოიდები და ეთერზეთები. სოკოვანი დაავადების კონტროლისათვის გამოვიყენებთ სხვადასხვა მინერალური მარილი, ეთერზეთები, მცენარეული ექსტრაქტები და მრავალი სხვა წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები (Copping...2000:651-676; Mimeo...2009:989-996). ინტენსიური კვლევები მიმდინარეობს მცენარეული ნედლეულის კვლევა რეპელენტური ბუნების ნაერთების გამოვლენისათვის. რეპელენტები აფრთხობენ ფეხსახსრიანებს, მუძუმწოვრებს, ფრინველებს. იყენებენ უმთავრესად ადამიანისა და ცხოველთა დასაცავად სისხლის მწოველი მწერების თავდასხმისაგან, ტრანსმისიული დაავადებების ( ენცეფალიტი, ლეიშმანიოზი და სხვა) პროფილაქტიკისათვის, აგრეთვე იმ ფეხსახსრიანებისაგან დაცვისათვის, რომლებიც აფუჭებენ ტანსაცმელს, ავეჯსა და სხვ. პრაქტიკაში რეპელენტებად იყენებენ ქიმიურ პრეპარატებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ხანგრძლივი მოქმედება. ბუნებრივი ნედლეულიდან მიღებული ექსტრაქტი უფრო იაფია, ხელმისაწვდომი და ეკოლოგიურად უსაფრთხოა. ანტიმიკრობული მოქმედების ნივთიერებების პროდუცენტი შეიძლება იყოს მცენარის ნებისმიერი ნაწილი(ყვავილი, ფოთლები, ღერო, მერქანი, ფესვი, თესლი, ნაყოფი). თუმცა, მათი წარმოქმნა, გადამწიფება და კონცენტრაცია სულაც არაა ერთგვაროვანი და მუდმივი. ბოლომდე არაა ნათელი მათი დამცავი მოქმედების მექანიზმი. ითვლება, რომ ისინი ტოქსიურად მოქმედებენ უშუალოდ პათოგენზე (Scheiwe et al, 1996; Baeser, Steiver 1999), ან თვით პატრონ-მცენარის თავდაცვით რეაქციას ასტიმულირებენ. აღნიშნულიდან გამომდინარე ძალზე აქტუალურია და მიზანშეწონილად მიგვაჩნია აჭარის ადგილობრივი მცენარეების ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა, მათი თვისობრივი და რაოდენობრივი შედგენილობის დადგენა, ნედლეულის ალების ვადების დადგენა, ბიოაქტიური ნაერთების გამოყოფის ტექნოლოგიის შემუშავება, მიღებული პრეპარატების პირველადი გამოცდა ადამიანისა და ცხოველების ექტოპარაზიტის (კოლოს) და სოფლის მეურნეობის პარაზიტის(აზიური ფაროსანას) წინააღმდეგ და სხვა. დღეისათვის ამ მცენარეთა უმეტესობა პრაქტიკულად გამოუყენებელია, პირიქით გვევლინება სარეველად და ებრძვის მის გამრავლებას. არ არის შესწავლილი ჩვენში გავრცელებული მცენარეული ნედლეული და მათგან ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატების წარმოების ტექნოლოგია. პროექტის განხორციელება საშუალებას მოგვცემს პირველად საქართველოში კვლევის თანამედროვე კომპლექსური მეთოდების გამოყენებით ჩავატაროთ ადვენტიურ მცენარეთა ქიმიური შედგენილობის თვისობრივი და რაოდენობრივი დადგენა. დავადგინოთ სახეობების მიხედვით ზოგიერთ ადვენტიურ მცენარეთა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების თვისობრივი და რაოდენობრივი შედგენილობა, მათი მიღების ტექნოლოგიური საფუძვლები, მიღებული პრეპარატების მცენარეული დაავადებების მიმართ აქტიურობა - რასაც სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობა ექნება.

**3.2 კვლევის მიზნები და ამოცანები:** პროექტის მიზანია აჭარაში გავრცელებული ადვენტიური მცენარეების ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შემცველი ადვენტიური მცენარეული ნედლეულის შესწავლა, ნედლეულის ალების ოპტიმალური პირობების დადგენა და მათგან ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით

მდიდარი კონცენტრატების და პრეპარატების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება, მათი რეპლენტური ბუნების დადგენისათვის პირველადი გამოცდა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ქიმიური წარმოების ახალი ეკოლოგიური პროდუქტის შეთავაზება. ძალზე მნიშვნელოვანია მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის პროექტის ფარგლებში თანამედროვე ხელსაწყოებისათვის აქსესუარების შეძენა, რომლებიც უზრუნველყოფენ კვლევების მაღალ სარწმუნოების კვლევებს. პროექტის მიზნების მისაღწევად გადასაჭრელია შემდეგი ამოცანები: 1. სამეცნიერო კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოებისათვის მომზადება. ინფორმაციის შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა; სანედლეულო ბაზის არეალის და მარაგის დადგენა. 2. საკვლევ ნიმუშებში შედგენილობის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კვლევის თანამედროვე ფიზიკო-ქიმიური მეთოდების ადაპტირება. 3. საკვლევ ნიმუშებში ფენოლური ნაერთების შესწავლა 4. საკვლევ ნიმუშებიდან სუპერფლუიდური ექსტრაქციის მეთოდით ბიოაქტიური ნაერთების - ლიპოიდური და ფენოლური ნაერთების, ეთერზეთების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება. 5. ეთერზეთების (აქროლადი ნაერთების) კვლევა აირ-სითხური ქრომატოგრაფირებით. 6. საკვლევ ნიმუშებში ანტირადიკალური აქტივობა განისაზღვრება DPPH მეთოდით 7. ნედლეულის აღების ოპტიმალური პირობების დადგენა. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით მდიდარი პრეპარატების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება. 8. მიღებული პრეპარატების პირველადი გამოცდა ადამიანისა და ცხოველების ექტოპარაზიტის (კოლოს) და სოფლის მეურნეობის პარაზიტის(აზიური ფაროსანას) წინააღმდეგ მცენარეული ექსტრაქტების ბიოაქტიურობის სკრინინგი ახალი ბიოლოგიური საშუალებების გამოვლენის მიზნით. პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე მოხდება დაგეგმილი კვლევების შესაბამისი მეთოდიკების ადაპტირება, მოძიებული ლიტერატურული მონაცემების გათვალისწინებით. სპეციალისტების მეშვეობით შეირჩევა საკვლევ მცენარეები და მოხდება ნიმუშების აღება პერიოდულად. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ჩატარდება ნიმუშებში შესაბამისი ბიოაქტიური ნაერთების კვლევა. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემუშავდება ბიოაქტიური პრეპარატის წარმოების ტექნოლოგიური სქემა. გამოცდილი იქნება ჩვენს ხელთ არსებული ყველა ტექნოლოგიური საშუალება. უნივერსიტეტის შესაბამის ლაბორატორიებში (ქიმიის დეპარტამენტის ლაბორატორიები, დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ქრომატოგრაფიული ცენტრი, ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილება) ჩატარდება კვლევები. კულტურულ მცენარეთა ცნობილი დავადების გამომწვევი ფაქტორების მიღებულ ბიოპრეპარატებთან შედეგობის დიაგნოსტიკა. კვლევის შედეგები აისახება საბოლოო ანგარიშში პროექტის მთავარი შედეგი იქნება : • კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შესწავლილი იქნება აჭარაში ფართოდ გავრცელებული ადვენტიური მცენარეების ბიოაქტიური ნაერთები, დადგენილი იქნება მათი ქიმიური შედგენილობის ცვლილება მცენარის წარმოშობის ადგილთან მიმართებაში. • შემუშავდება ბუნებრივი ბიოაქტიური პრეპარატების მიღების ტექნოლოგიური საფუძვლები, რომლებიც გამოცდილი იქნება ადამიანისა და ცხოველების ექტოპარაზიტის (კოლოს) და სოფლის მეურნეობის პარაზიტის(აზიური ფაროსანას) წინააღმდეგ. • პროექტის დაფინანსების შემთხვევაში შემუშავდება შესწავლილი მცენარეული ნედლეულისაგან ბიოაქტიური ნაერთებით მდიდარი პრეპარატების მიღების ტექნოლოგიური სქემა.

**3.3 კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევაში გამოსაყენებელი მეთოდოლოგია; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან; პროექტში კვლევებისადმი კომპლექსური მიდგომა სრულიად ინოვაციურია, რადგანაც საქართველოში ადვენტიური მცენარეების მიზანმიმართული მაღალი წნევის სითხური და აირ-სითხური ქრომატოგრაფირებით (სხვადასხვა დეტექტორის გამოყენებით), ნედლეულისა და მისგან წარმოებული პროდუქტების ქიმიური ანალიზი ჩატარდება როგორც დღეს მოქმედი საერთაშორისო სტანდარტული მეთოდებით IFU (International Federation of Fruit Juice Producers), ასევე ბიოაქტიური ნაერთების კვლევისას გამოყენებული იქნება ინოვაციები, კერძოდ საკვლევ ნაერთების ფრაქციონირება სხვადასხვა ექსტრაგენტით, ხელატი, სუპერფლუიდური ექსტრაქციით, ქრომატოგრაფიული სვეტებით, მათ შორის გამოყენებული იქნება მაღალი წნევის პრეპარატიული სვეტები. საკვლევ ნიმუშების და გამოყოფილი ინდივიდუალური ნაერთების კვლევა ჩატარდება მაღალი და ულტრა მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირებით- უიზილული, რევერაქტომეტრული ინდექსის, გრავიმეტრული (HPLC-UV, Vis, RI) და მასს-სპექტრალური დეტექტირებით (UPLC-MS, PDA), აირ-სითხური ქრომატოგრაფირების, სუპერფლუიდური და სხვათა გამოყენებით. ასევე გამოყენებული იქნება კვლევის სხვა ფიზიკო-ქიმიური მეთოდები, სპექტრალური კვლევები რეაგენტების დამატებით. კვლევის ჩატარების ადგილას უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებში არსებული ხელსაწყოები, ათვისებული და ასათვისებელი მეთოდები სრულ შესაბამისობაშია პროექტით დაგეგმილ სამუშაოებთან. პროექტით შემუშავებული ტექნიკის, სათანადო და ცვეთადი ნაწილების,

ქიმიური რეაქტივების და ჭურჭლის, საჭირო მასალების გამოყენებით მოხდება ბიოლოგიურად აქტიური ნერთების ანალიზის თანამედროვე ფიზიკო-ქიმიური მეთოდების ადაპტირება (ვალიდაცია) და შემდგომი კვლევა. ნერთების რაოდენობრივი ანალიზისათვის გამოყენებული იქნება სპექტრალური ანალიზი სხვადასხვა რეაგენტების დამატებით და შთანთქმის სხვადასხვა დიაპაზონში. კერძოდ- კატექინები ვანილინის რეაქტივი (500 ნმ-ზე), ფლავონოიდები-ალუმინის ქლორიდი (510 ნმ-ზე), საერთო ფენოლების ფოლინ-ქიოქალტაუს რეაქტივი (Folin-Ciocalteu Index) ( 750 ნმ-ზე), ლეიკოანტოციანები-ლეიკოანტოციანური რეაქტივი ( 540 ნმ-ზე), ანტოციანების pH დიფერენცირებული მეთოდით და სხვა. მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფიებით ულტრაიისფერ და ხილულ არეში. ჩატარდება საკვლევ ნიმუშებში კატექინების (280 ნმ, ქრომატოგრაფიული სვეტი C18, ელუენტი გრადიენტული, წყალი, მჟავა, მეთანოლი და აცეტონიტრილი სხვადასხვა თანაფარდობით), ფენოლკარბონმჟავების (280, 360 ნმ), ფლავონოიდური გლიკოზიდების (360 ნმ), ანტოციანების (370; 510-5246მ) კვლევა, ხოლო ნერთების იდენტიფიკაციისათვის დამატებით გამოყენებული იქნება UPLC-MS მეთოდი (სვეტი ACQUITY UPLC BEH C18, BEH Amide, BEH CYANO 1,7µm 2,1x50mm ელუენტი- წყალი, ჭიანჭველმჟავა, მეთანოლი, აცეტონიტრილი). ქრომატოგრაფიული სვეტები- ანალიტიკური და პრეპარატიული C 18, ელუენტი გრადიენტი წყალი-ჭიანჭველმჟავა, აცეტონიტრილი ჭიანჭველმჟავა ან მეთანოლი ჭიანჭველმჟავა. მას-სპექტრალურ ანალიზთან ერთად გამოყენებული იქნება ფოტოდიოდური მატრიცის დეტექტორი (PDA). ნედლეულის და მისგან წარმოებული პროდუქტების ანტიოქსიდანტური აქტივობა განისაზღვრება DPPH (2,2 დიფენილ-1-პიკრილჰიდრაზინი) მეთოდით. სუპერფლუიდური (Super Fluid Extraction 100 and 500 ml) და სხვა ექსტრაქციით შემუშავდება ბიოპრეპარატების მიღების ტექნოლოგიური სქემები SFE (Waters -USA) ტექნოლოგიით ნახშირორჟანგით ან სხვა გამხსნელების გამოყენებით. წარმოებული იქნება ნატიური ეთერზეთები და ლიპოიდური პრეპარატები, რომელთა ქიმიური შედგენილობა შესწავლილი იქნება აირ-სითხური ქრომატოგრაფიებით. ფენოლური ნერთებისა და ალკალოიდების კომპლექსის კი სითხური ქრომატოგრაფიებით. საკვლევ ნიმუშებიდან მიღებული ბიოაქტიური პრეპარატების რეპელენტური აქტივობის პირველადი გამოცდა ჩატარდება უნივერსიტეტის შესაბამის ლაბორატორიებში. პროექტის განხორციელებისას მოსალოდნელი სირთულე, მხოლოდ ფორს-მაჟორული სიტუაციაა და შემენები. პროექტი ითვალისწინებს მაღალი ხარისხის ქიმიური რეაქტივებისა და ხელსაწყოების აქსესუარების შეძენას, რომელიც ხშირ შემთხვევაში ადგილობრივ ბაზარზე არ არის. შეკვეთა ახანგრძლივებს შეძენის პროცესს.

**3.4 კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და კვლევის შედეგების გავრცელების პერსპექტივა:** საქართველოს სინამდვილეში პირველად, დადგენილი იქნება ადვენტურ მცენარეებში- *Artemisia vulgaris* და სხვათა ბიოაქტიური ნერთების თვისობრივი და რაოდენობრივი შედგენილობა. შესწავლილი იქნება მცენარეთა ნატიური ეთერზეთები, ლიპოიდური, ფენოლური ნერთების და სხვა კომპლექსები. განხორციელდება სისტემური სპექტრალური კვლევები ქრომატოგრაფიებით-HPLC-UV, Vis, RI, UPLC-MS, PDA GC, ICP-OES Spectrometer, და სხვა კლასიკური ფიზიკო-ქიმიური მეთოდებით. სუპერფლუიდური (Super Fluid Extraction 100 and 500 ml) და სხვა ექსტრაქციით SFE (Waters -USA) ნახშირორჟანგით ან/და სხვა გამხსნელებით შემუშავდება ბიოპრეპარატების მიღების ტექნოლოგიური სქემები. დადგენილი იქნება მიღებული პრეპარატების რეპელენტური აქტივობა. მოხდება მიღებული შედეგების პრეზენტაცია დაინტერესებული საწარმოებისა და პირებისათვის. პროექტის შედეგები წარმოდგენილი იქნება შემაჯამებელი ანგარიში სახით, ნაშრომში აღწერილი იქნება ჩვენს მიერ შესწავლილი ადვენტური მცენარეების ბიოაქტიური ნერთები, მათთან პრეპარატების მიღების ტექნოლოგიები და მიღებული პრეპარატების რეპელენტური აქტივობის პირველადი კვლევები.

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	აქტივობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება (პროგრამული კუთხით)
ეტაპი 1								
1	სამეცნიერო კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოებისათვის მომზადება.	05/2019	07/2019					ვიზუალური მასალა
2	ინფორმაციის შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა	05/2019	07/2019					ვიზუალური მასალა
3	სანედლეულო ბაზის არეალის და მარაგის დადგენა.	05/2019	07/2019					ვიზუალური მასალა
ეტაპი 2								

1	საკვლევ ნიმუშებში შედგენილობის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კვლევის თანამედროვე ფიზიკო-ქიმიური მეთოდების ადაპტირება.	05/2019	07/2019					
2	ნედლეულის აღება		07/2019	09/2019				ვიზუალური მასალა
3	აღებული ნედლეულის მომზადება ქიმიური ანალიზისათვის		07/2019	09/2019				კვლევის ოქმები
<b>ეტაპი 3</b>								
1	ნედლეულის აღება და მომზადება ქიმიური ანალიზისათვის		07/2019	09/2019	10/2019			კვლევის ოქმები
2	საკვლევ ნიმუშებში ფენოლური ნაერთების კვლევა და ანტირადიკალური აქტივობა განისაზღვრება DPPH მეთოდით		07/2019	09/2019	10/2019			კვლევის ოქმები
3	სუპერფლუიდური ექსტრაქციის მეთოდით ეთერზეთების (აქროლადი ნაერთების) კვლევა აირ-სითხური ქრომატოგრაფირებით.		07/2019	09/2019	10/2019			კვლევის ოქმები

ეტაპი 4								
1	საკვლევ ნიმუშებიდან სუპერფლუიდური ექსტრაქციის მეთოდით ბიოაქტიური ნაერთების, ლიპოიდური და ფენოლური ნაერთების, ეთერზეთების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება.							
2	მიღებული პრეპარატების რეპელენტობის პირველადი გამოცდა							ვიზუალური მასალა
3	საბოლოო ანგარიში და პრეზენტაცია							ვიზუალური და ელექტრონული მასალა



5. ბიუჯეტი

N	ხარჯების ჩამონათვალი	რაოდენობა	ფასი	სულ	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა	თანადაფინანსება	ჯამი
1	შრომის ანაზღაურება						
1.1	სტუდენტების სტიპენდია/ (შრომის ანაზღაურება) (7x85= 595 ლარი): 1. მარიამ დოლიძე 2. შაქრო ადგიშვილი 3. ლუკა ხალვაში 4. ხათუნა შინიძე 5. დარეჯან ბოლქვაძე 6. ინგა ქარცივაძე 7. ჯეირან ფუტკარაძე 8. რუსლან დავითაძე (არ ღებულობს სტიპენდიას) (კონსულტანტი)	1	595	595	595	0	595
2	ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენისა და მომსახურების ხარჯები;						
2.1	ქიმიური რეაქტივები და მასალები	1	2405	2405	2405	0	2405
3	საველე სამუშაოებისა და ექსპედიციის ხარჯები						

4	პროფესიული ლიტერატურის შექმნის ხარჯები				
5	სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და/ან კვლევითი ვიზიტისათვის საჭირო ხარჯები				
6	კვლევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ხარჯი				
7	სხვა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია კვლევის განხორციელებასთან და შესაბამისი შედეგების პრეზენტაციასთან (მათ შორის დამხმარე პერსონალი ასეთის საჭიროების შემთხვევაში)				
დარჩენილი თანხა, ლარი:		სულ, ლარი:	3000	0	3000

„ბსუ-ს 2019 წლის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ 2019 წლის 04  
აპრილის N 01-10/42 ბრძანების

დანართი 5

პროექტის ID: 16

რეგისტრაციის დრო: 2018-12-25 13:53:29

პროექტის ტიპი: სამეცნიერო - კვლევითი

1. განმცხადებელი

1.1 პროექტის ხელმძღვანელი: ანა სურმანიძე

1.2 მეცნიერ-ხელმძღვანელის სახელი-გვარი: ლალი კალანდაძე, ნუგზარ ღომიძე, იზოლდა ჯაბნიძე

1.3 პირადი ნომერი:

1.4 ფაქტური მისამართი (საცხოვრებელი): ქ.ბათუმის შელიქიშვილის 58, ბინა N27

1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:

მობილური:

ელ.ფოსტა:

2. პროექტის შესახებ

2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): ფუკოს ქანქარა

2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2019-აპრილი-08

2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2019-აგვისტო-30

2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 1800

2.5 თანადაფინანსება:

2.6 პროექტის მთლიანი ზიუჯეტი: 1800

3. პროექტის/ინიციატივის აღწერა

3.1 საკვლევი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება: მსგავსი მოდელი არ არის ზევრ უმაღლეს სასწავლებელში, თუმცა იმ სასწავლებლებში სადაც არის ეს მოდელი ისინი ამაყობენ მათი შექმნილი მაკეტით და ამ მოდელის ბსუ-ში შექმნით ჩვენი უნივერსიტეტიც მოხვდება ამ უნივერსიტეტთა სიაში. შესაბამისად შეიძლება ინფორმაციის განთავსება ვიკიპედიაში, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის პოპულარიზაციას და გაზრდის ცნობადობას.

3.2 კვლევის მიზნები და ამოცანები: შეიქმნას თანამედროვე ფუკოს ქანქარის მოდელი ბსუ-ში, რომლითაც დაინტერესებული პირები დარწმუნდებიან დედამიწის ბრუნვითი მოძრაობით გამოწვეული ეფექტებით. სათანადო ფიზიკური თეორიის საფუძველზე შემოწმებული იქნას თეორიული მოდელისა და ექსპერიმენტული მოდელის თანხვედრა სიზუსტის ცდომილების გაანგარიშების მეთოდით.

3.3 კვლევის მეთოდოლოგია: უნივერსიტეტის II კორპუსის ცენტრალური ფოიეს ჭრილში ჭერზე (5 სართულიანი შენობა) ფუკოს ქანქარის დამზადება და მართვა. ცენტრალური ფოიეს ჭრილი წარმოდგენილია ნახ.1-ზე ხოლო ქანქარას მოდელი წარმოდგენილია ნახ.2-ზე. მოდელის აგებისას ვხელმძღვანელობდით ფიზიკური თეორიის არაიდეალური მათემატიკური ქანქარის რხევითი პროცესების შესახებ.

3.4 კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და კვლევის შედეგების გავრცელების პერსპექტივა: შეიქმნება რეალური ფუკოს ქანქარა, რომელიც პრაქტიკულად მიღწეადი რხევების საფუძველზე, დაადასტურებს დედამიწის ბრუნვითი მოძრაობას 30 კმ/წმ სიჩქარით. ინფორმაცია ბსუ-ში ქანქარის დამზადების შესახებ განთავსდება სხვადასხვა ვებ-საიტებზე რითაც ხელი შეეწყობა უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდას. ბსუ-ში შექმნილი ფუკოს ქანქარა პრაქტიკულ ღირებულებასთან ერთად უდავოდ მეცნიერულ ღირებულებას ატარებს, რაც დასტურდება ინფორმაციით ქანქარის შესახებ სხვადასხვა დაწესებულებებში, კერძოდ: კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პარიზის პანთეონი, ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტი. წყარო ([https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%B0%D1%8F%D1%82%D0%BD%D0%B8%D0%BA\\_%D0%A4%D1%83%D0%BA%D0%BE](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%B0%D1%8F%D1%82%D0%BD%D0%B8%D0%BA_%D0%A4%D1%83%D0%BA%D0%BE))

#### 4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	აქტივობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება (პროგრამული კუთხით)
ეტაპი 1								
1	საჭირო დეტალების შექმნა	აპრილი	მაისი					ინვოისები, ფოტომალასა

2	საჭირო მექანიზმის დამზადება		მაისი	ივნისი				ხელშეკრულება სპეციალისტთან, ფოტომასალა
3	მონტაჟი			ივნისი	ივლისი			ფოტომასალა
4	გამოცდა, შეფასება, დაზუსტება, ტესტირება				ივლისი	აგვისტო		ქანქარა დამონტაჟდა II კორპუსის ცენტრალური კორპუსის ასასვლელ ქრილში
5	შედეგების ასახვა პოპულარიზაცია, მათ შორის ვიკიპედიაში, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ტელევიზიაში					აგვისტო	სექტემბერი	ვებ-გვერდები: ვიკიპედია, <a href="http://bsu.edu.ge">bsu.edu.ge</a> და სხვა საინფორმაციო წყაროები.

## 5. ბიუჯეტი

N	ხარჯების ჩამონათვალი	რაოდენობა	ფასი	სულ	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა	თანადაფინანსება	ჯამი
1	შრომის ანაზღაურება						
1.1	ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება	1	300	300	300		300
2	ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენისა და მომსახურების ხარჯები;						
2.1	ფოლადის სფერო	1	400	400	400		400
2.2	ელასტიური თოკი ან მავთული	1	50	50	50		50
2.3	360 გრადუსით შბრუნავი სამაგრი	1	100	100	100		100

2.4	მაგნიტური დაფა	1	200	200	200		200
2.5	დაგრაფირებული შკალა ( რომელიც წრიულ პენოპლასტზე დაეწებება)	1	50	50	50		50
2.6	შემომფარგვლელი ალუმინის ჯებირი ჯაჭვებით და სამაგრით	1	200	200	200		200
3	საველე სამუშაოებისა და ექსპედიციის ხარჯები						
3.1	მონტაჟი		500	0	500		500
4	პროფესიული ლიტერატურის შეძენის ხარჯები						
5	სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და/ან კვლევითი ვიზიტისათვის საჭირო ხარჯები						

6	კვლევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ხარჯი				
7	სხვა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია კვლევის განხორციელებასთან და შესაბამისი შედეგების პრეზენტაციასთან (მათ შორის დამხმარე პერსონალი ასეთის საჭიროების შემთხვევაში)				
დარჩენილი თანხა, ლარი:		სულ, ლარი:	1800	NaN	<b>1800</b>